

სს „ფორსაით კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

გვერდი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა	8
2 მომზადების საფუძველი	8
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4 სტანდარტები, ინტერპრეტაციები და დამატებები რომლებიც გამოიყენა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	12
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	13
6 ფული და ფულის ეკვივალენტები	13
7 სააქციო კაპიტალი	13
8 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
9 ფინანსური რისკი	13
10 პირობითი ვალდებულებები	14
11 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
12 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 14

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს „ფორსაით კაპიტალის“ ხელმძღვანელობა. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

გრიგორი მორჩილაძე
დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

02 დეკემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა


თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს „ფორსაით კაპიტალის“ ხელმძღვანელობა. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



გრიგორი მორჩილაძე
დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

02 დეკემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ფორსაით კაპიტალის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ფორსაით კაპიტალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრდებით ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი:

SARAS-F-320544

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი:

SARAS-A-865011

02 დეკემბერი, 2022

თბილისი, საქართველო



სს „ფორსაით კაპიტალი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31-დეკ-21
აქტივები		
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფული და ფულის ექვივალენტები	6	189
სულ მიმდინარე აქტივები		189
სულ აქტივები		189
ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები		-
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	7	2,200
გაუნაწილებელი ზარალი		(2,011)
სულ საკუთარი კაპიტალი		189
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		189

გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

02 დეკემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

სს „ფორსაით კაპიტალი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31-დეკ-21
აქტივები		
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფული და ფულის ექვივალენტები	6	189
სულ მიმდინარე აქტივები		189
სულ აქტივები		189
ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები		-
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	7	2,200
გაუნაწილებელი ზარალი		(2,011)
სულ საკუთარი კაპიტალი		189
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		189


 გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

02 დეკემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

სს „ფორსაით კაპიტალი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	26-ოქტ-2021 დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2021 მდე
შემოსავალი მომსახურებიდან		-
საერთო მოგება		-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,011)
პერიოდის (ზარალი)/მოგება		(2,011)
მოგების გადასახადი		-
პერიოდის ზარალი		(2,011)


გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

02 დეკემბერი, 2022
 თბილისი, საქართველო

სს „ფორსაით კაპიტალი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	26-ოქტ-2021 დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2021 მდე
შემოსავალი მომსახურებიდან		-
საერთო მოგება		-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,011)
პერიოდის (ზარალი)/მოგება		(2,011)
მოგების გადასახადი		-
პერიოდის ზარალი		(2,011)


 გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

02 დეკემბერი, 2022
 თბილისი, საქართველო

სს „ფორსაით კაპიტალი“
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
26-ოქტ-2021	-	-	-
კაპიტალის ზრდა	2,200	-	2,200
პერიოდის ზარალი	-	(2,011)	(2,011)
31-დეკ-21	2,200	(2,011)	189

გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი


სს „ფორსაით კაპიტალი“

02 დეკემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

სს „ფორსაით კაპიტალი“
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
26-ოქტ-2021	-	-	-
კაპიტალის ზრდა	2,200	-	2,200
პერიოდის ზარალი	-	(2,011)	(2,011)
31-დეკ-21	2,200	(2,011)	189


 გრიგორი შორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“
 02 დეკემბერი, 2022
 თბილისი, საქართველო

		26-ოქტ-2021 დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2021 მდე
		შენიშვნები
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
<i>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
გადახდილი მომსახურების ღირებულება		(2,011)
ფულადი სახსრების გასვლა საოპერაციო საქმიანობიდან		(2,011)
<i>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან		-
<i>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</i>		
კაპიტალის ზრდა		2,200
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან		2,200
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		189
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე		-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6	189


გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

02 დეკემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	26-ოქტ-2021 დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2021 მდე
	შენიშვნები
<i>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	
გადახდილი მომსახურების ღირებულება	(2,011)
ფულადი სახსრების გასვლა საოპერაციო საქმიანობიდან	(2,011)
<i>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	-
<i>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</i>	
კაპიტალის ზრდა	2,200
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	2,200
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	189
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6 189


 გრიგორი მორჩილაძე
 დირექტორი

სს „ფორსაით კაპიტალი“

02 დეკემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

1 კომპანია და მისი საქმიანობა

სს „ფორსაით კაპიტალი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2021 წლის 26 ოქტომბერს, როგორც სააქციო საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოტე მაცაშვილის ქუჩა, N 24. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 404622789.

აქციონერები	02-დეკ-22	31-დეკ-21
შპს "ფორსაით ინვესტმენტ გრუპ"	0.00%	100%
ნატო დონაძე	51.49%	0%
ელენე ჩელნოკოვა	39.75%	0%
ნოდარ კურტანიძე	4.12%	0%
შოთა კაჩუხაშვილი	2.63%	0%
მაია მორჩილაძე	1.40%	0%
თამარ პატარაია	0.61%	0%
სულ	100.00%	100%
აქციების ჯამური რაოდენობა	1,142	10

საჯარო რეესტრის მონაცემებით კომპანიის დირექტორია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფორსაით ინვესტმენტ გრუპ"-ი (404616518).

სს „ფორსაით კაპიტალი“ არის 5 (ხუთი) წლის ვადით შექმნილი დახურული რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდი, რომელიც არის ინვესტიციის მიმღები ან ინვესტორი ფონდი. კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია ფიზიკური და იურიდიული პირების დანაზოგების განთავსებით სხვადასხვა საინვესტიციო აქტივებში, ფონდის საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად. კომპანიის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს აქციონერთა/ერთეულების მფლობელთა სასარგებლოდ მოზიული თანხების განთავსება/ინვესტირება.

2 მომზადების საფუძველი

2.1 ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ და მოიცავს ინფორმაციას კომპანიის დაარსების თარიღიდან (26 ოქტ 2021) პერიოდის ბოლომდე (31 დეკ 2021).

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალებს უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვების საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია დაარსდა 2021 წელს მისი ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვან სურათს არ იძლევა დასკვნების გასაკეთებლად, თუმცა კომპანიის მფლობელები პერიოდულად ახორციელებენ თანხების ინვესტირებას კომპანიაში და გეგმავენ მის განვითარებას. გარდა ამისა, მენეჯმენტი გეგმავს მომხმარებლებს აქტიურად შესთავაზოს თავიანთი სერვისი. უკვე მიმდინარე წლის დასაწყისში მუშაობას და მოლაპარაკებას აწარმოებენ რამოდენიმე კლიენტთან. ასევე, კომპანიას არ აქვს ვალდებულება მესამე პირების მიმართ და ამასთანავე, მენეჯმენტი არ გეგმავს ახლო მომავალში სესხის აღებას საკუთარი ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3.1 ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31-დეკ-21
1 აშშ დოლარი/ლარი	3.0976
1 ევრო/ლარი	3.5040

3.3 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება

აღიარების თარიღი. ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება. თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა სავაჭრო მოთხოვნებამ (ამორტიზებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

3.3 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება. კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად. კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება. კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას. „ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია). ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

3.3 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9-ის შესაბამისად.

3.5 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლისგან გადმოცემულ გრძელვადიან აქტივს ან კონტრიბუციას. კაპიტალში არაფულადი შენატანის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება აკუმულირებულ ზარალში.

3.6 ხარჯის აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

3.7 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო;
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს;
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

3.8 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

4 სტანდარტები, ინტერპრეტაციები და დამატებები რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17;
- ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი - შესწორებები ბასს 1-ში;
- ძირითადი საშუალებები: შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე - შესწორებები ბასს 16-ში;
- მითითება კონცეპტუალურ საფუძველებში - შესწორებები ფასს 3-ში;
- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება - შესწორებები ბასს 37-ში;
- აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში;
- საპროცენტო განაკვეთის ბენეფიციარის რეფორმა - შესწორებები ფასს 4, 7, 9, 16-სა და ბასს 39-ში.

კომპანია თვლის რომ ამ სტანდარტების ძალაში შესვლა არ გამოიწვევს არსებით ცვლილებებს ფინანსურ ანგარიშგებაში.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედო, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

6	ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-21
	ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	189
	სულ ფული და ფულის ექვივალენტები	189

7 სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალის შევსება მოხდა 2021 წლის 01 ნოემბერს 2,200 ლარით (ჯამში 10 ერთეული

8	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26-ოქტ - 31-დეკ 2021
	ბანკის საკომისიო ხარჯები	2,011
	სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,011

9 ფინანსური რისკი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	ფინანსური აქტივები	31-დეკ-21
	ფულადი და ფულის ექვივალენტები	189
	სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	189

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

საფალუტო რისკი. უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

9 ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები 31-დეკ-21	ლარი	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	189	189
სულ ფინანსური აქტივები	189	189

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და ფულის ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

ფინანსური აქტივები 31-დეკ-21	1 წლამდე	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	189	189
სულ ფინანსური აქტივები	189	189
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	189	189

ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები. კომპანიის ფულადი რესურსები მეტია ვიდრე კომპანიის საჭიროება ფულად გასავლებზე.

10 პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია 3 წელი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით არის ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

11 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არ ფიქსირდება.

12 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2022 წელს ანგარიშგების დამტკიცებამდე დამატებით გაიყიდა კომპანიის 1,132 აქცია და სააქციო კაპიტალი გაიზარდა 10,905, 712 ლარით.

2022 წლის 01 ივლისს კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება შპს "კომპლექსი"-თან, რომლის საფუძველზე 55 თვის ვადით გასცა სესხი 1,880,000 აშშ დოლარის ოდენობით, წლიური ფიქსირებული 6.8%-ით. სესხი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით. 2022 წლის 01 ივლისს კომპანიამ გასცა სესხი 5,505,204 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 118,931 ლარი.

2022 წლის 26 ივლისს კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება შპს "კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა"-სთან, 54 თვის ვადით, წლიური ფიქსირებული 6.8%-ით. სესხის ლიმიტი შეადგენს 5,500,000 აშშ დოლარს, რომლის ათვისებაც მოხდება ტრანშებად. სესხი უზრუნველყოფილია მსესხებელი კომპანიის დირექტორის შპს "მეგაპოლის ისტ"-ში კუთვნილი წილის ნაწილითა და უძრავი ქონებით. 2022 წლის ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით პერიოდისათვის, კომპანიამ გასცა სესხი 5,597,054 ლარის ოდენობით. საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 63,168 ლარი.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინაში, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კომპანია არ აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ რისკებს, როგორც მნიშვნელოვანს.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სს „ფორსაით კაპიტალი“

2021 წლის მმართველობითი ანგარიშგება

ფორსაით  **კაპიტალი**

შინაარსი:

დირექტორის მოხსენება	3
ეკონომიკური გარემო და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.....	5
სს „ფორსაით კაპიტალი“-ს ბიზნეს მოდელი.....	9
რისკები.....	12
ფინანსური მაჩვენებლები.....	12
ინფორმაცია კომპანიის განვითარებს გეგმებთან დაკავშირებით.....	16

დირექტორის მოხსენება

2020 წლის 14 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ. აღნიშნულმა კანონმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საინვესტიციო სექტორის განვითარების დასაწყისს. კანონის ფარგლებში შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“-ი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, 2021 წლის სექტემბერში მოიპოვა ლიცენზირებული აქტივების მმართველის სტატუსი. თავის მხრივ „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“-მა ამავე წლის ბოლოს დაიწყო საინვესტიციო ფონდის რეგისტრირების პროცესი. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება N56-ის შესაბამისად, 2022 წლის 3 მარტს, სს „ფორსაით კაპიტალი“ რეგისტრირებულ იქნა საქართველოში ერთ-ერთ პირველ საინვესტიციო კომპანიად. სს „ფორსაით კაპიტალი“ არის დახურული ტიპის საინვესტიციო ფონდი, რომლის ვადაც განისაზღვრა 5 წლით. ფონდის დაგეგმილი მოცულობა შეადგენს 30 მილიონ აშშ დოლარს, რომლის შესავსებადაც განსაზღვრულია ერთი კალენდარული წელი. ფონდის მმართველი გუნდი დაკომპლექტებულია პროფესიონალი და გამოცდილი კადრებით, რომელთაც გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება ფინასურ ბაზარზე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საინვესტიციო ფონდები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკაში, რადგან მათი მეშვეობით ერთმანეთს უკავშირდებიან ერთის მხრივ ინდივიდუალური ინვესტორები და კომპანიები, რომლებსაც აქვთ დანაზოგი და მეორეს მხრივ - ბიზნესები და სხვა კერძო თუ სახელმწიფო სუბიექტები, რომლებსაც სჭირდებათ მათზე მორგებული დაფინანსება.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს იზრუნოს თანამშრომელთა განვითარებაზე, მათი სხვადასხვა ტიპის ტრეინინგებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერით. კომპანიის ერთ-ერთ უმთავრესი პრიორიტეტია მაღალი დონის სერვისი შეთავაზოს პოტენციურ და აქტიურ კლიენტებს, შესაბამისად ინერგება საერთაშორისო სტანდარტის საუკეთესო პრაქტიკები, მუდმივად ხდება ბაზრის დეტალური კვლევა, პროცედურების მოდერნიზაცია და დახვეწა.


კომპანიის პრიორიტეტია მაღალი დონის სერვისების შეთავაზება მომხმარებლისათვის, ამდენად კომპანიის პროდუქტები შექმნილია ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით და მუდმივად ხდება ბაზრის კვლევა-მონიტორინგი, პროდუქტების მოდერნიზაცია და დახვეწა, რაც განაპირობებს ჩვენი პროდუქტების კონკურენტუნარიანობას მთლიან საფინანსო ბაზარზე. კერძოდ 2021 წელს კომპანიას კვლევა არ ჩაუტარებია, მხოლოდ 2022 წლის დასაწყისიდან ჩაატარდა ბაზრის კვლევა მისთვის საინტერესო ორი ისეთი ძირითადი მიმართულებით, როგორიცაა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები და დეპოზიტები, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული კვლევების საფუძველზე მოხდა შესაბამისი პროდუქტების პირობების ჩამოყალიბება კომპანიაში.

ასევე ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი გამჭვირვალობაა. მომხმარებლებს მიეწოდებათ უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაცია კომპანიაში არსებულ პროდუქტებზე. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება ხდება მათთვის გასაგები ტერმინოლოგიით.

პოტენციური ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომია აუდირებული ანგარიშგება, რომლის გამოქვეყნებაც ხდება კომპანიის ვებ გვერდზე, ხოლო არსებული ინვესტორებისთვის ყოველწლიურ ანგარიშგებასთან ერთად, ასევე ხელმისაწვდომია კვარტალური ანგარიშგება და ყოველთვიური საინფორმაციო წერილები ფონდის მიერ განხორციელებულ ძირითად აქტივობებსა და დაგეგმირებულ მაჩვენებლებზე.


ეკონომიკური გარემო

2020 წლის კოვიდ პანდემიიდან მიყენებული ეკონომიკური ზიანის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ სწრაფად მოახდინა რეაბილიტაცია. ქვემოთ მოცემულია რეალური მშპ-ს ზრდა, პროცენტულად ბოლო წლების და მიმდინარე 2022 წლის პირველ და მეორე კვარტლების შესაბამისად -




საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოგდენილი მაჩვენებლების მიხედვით 2021 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 14,342.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 28%-ით (11,198.3 მილიონი აშშ დოლარი) მეტია. საქონლის ექსპორტი 27%-ით გაიზარდა და 4,242.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტი 25.4%-ით და თანხობრივი მოცულობით 10,099.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტის წილმა საგარეო სასაქონლო ვაჭრობის ბრუნვაში 29.6% შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 0.3%-ით არის გაზრდილი. თუმცა იმპორტის ზრდის ხარჯზე უარყოფითი სავაჭრო სალდო წინა წლის მაჩვენებლიდან 4,709.4 მილიონი აშშ დოლარი -5,857.1 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ კატალიზატორს წარმოადგენს სასესხო კაპიტალზე ხელმისაწვდომობის ყოველწლიური ზრდა, რაც დადებითად ისახება ადგილობრივ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნაშთების ზრდაზეც -




გაცემული სესხების საპირფონოდ, ასევე მნიშვნელოვანი ზრდა არის ბანკებში განთავსებულ მიმდინარე და ვადიან დეპოზიტებზე -



აშშ დოლარში დენომინირებული დეპოზიტები ბანკებში (მილიონი)



ევროში დენომინირებული დეპოზიტები ბანკებში (მილიონი)



საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ევროკავშირთან დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პოტენციალი, რათა მიიღოს მეტი ეკონომიკური სარგებელი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების

პროცესში. განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა საშუალებას მისცემს ქვეყანას მოახდინოს უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას გახდეს უფრო მაღალტექნოლოგიური, გაზარდოს სამუშაო ძალის ეფექტიანობა, დაწეროს ქვეყანაში მაღალი ხარისხის სტანდარტები რათა უზრუნველყოს განვითარებული ქვეყნების მოთხოვნებს და გამოწვევებს.

2021 წელს ქვეყანაში ფულადი გზავნილების სახით სულ 2.35 მილიარდი აშშ დოლარი შემოვიდა, რაც ამგვარი სტატისტიკის წარმოების ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. შედარებისთვის 2020 წელს იმავე მაჩვენებელმა 1.88 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ზრდა 470 მილიონ აშშ დოლარს (25%) აღემატება. უცხოური ფულადი გზავნილები საქართველოს ეროვნული შემოსავლის ერთ-ერთი უმსხვილესი წყაროა. მისი მნიშვნელობა ეკონომიკისთვის განსაკუთრებით დიდია.

ინფლაცია

2021 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.3%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.9% შეადგინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის დეკემბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.9% შეადგინა.

2022 წელს ინფლაცია წარმოადგენს ადგილობრივი და ასევე გლობალური ეკონომიკის უმთავრეს გამოწვევას. ცენტრალური ბანკების მიერ გაკეთებული ინტერვენციების და მონეტარული პოლიტიკის ზრდის შესაბამისად, ინფლაციის დადმასვლა მოსალოდნელია 2023 წლის მეორე ნახევრიდან.

ბიზნეს მოდელი:

კომპანიის დამფუძნებლებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წარმოადგენენ გამოცდილი ფინანსისტები, ბანკირები და ბიზნესმენები.

სს „ფორსაით კაპიტალი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების დანაზოგების მოზიდვას შემდგომ ინვესტიციების განთავსების მიზნით.

სს „ფორსაით კაპიტალი“ ბაზარზე წარმოდგენილია ერთი ფილიალით მდებარე ბესიკის N4, ოფისი 204, თბილისი, საქართველო. შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“-ი ასევე ბაზარზე წარმოდგენილია ერთი ფილიალით მდებარე - ბესიკის N4, ოფისი 204, თბილისი, საქართველო. აქტივები მმართველ კომპანიაში დასაქმებულია 3 თანამშრომელი. სს „ფორსაით კაპიტალ“-ს არ ჰყავს დასაქმებული თანამშრომლები.


საინვესტიციო ფონდების და აქტივების მმართველი კომპანიების საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.

ფონდის დაგეგმილი ზომა შეადგენს 30 მილიონ აშშ დოლარს.

ფონდის მიერ განხორციელებული ინვესტიციები იმართება პარტნიორების მიერ დამტკიცებული და რეგულატორთან შეთანხმებული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად.

საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპის“ მიერ სს „ფორსაით კაპიტალი“-ს ერთეულების მფლობელთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დადგენილ მოზიდული აქტივების მართვისა და ინვესტირების ჩარჩოს.

ფონდს მართავს წინამდებარე სტრუქტურით დაკომპლექტებული, ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანია შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“:



ფონდის ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები არის აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო, აქტივების მართვის ხელშეკრულებისა და აქტივების მმართველი კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

ფონდის მიერ შესაძლებელია აქტივების ინვესტირება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებში:

- ა) მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებულ საქართველოს საბანკო დაწესებულებებში არსებულ ფულად სახსრებსა და დეპოზიტებში (აშშ დოლარი, ლარი);
- ბ) მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული საქართველოს საბანკო დაწესებულებების მიერ გამოშვებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში (აშშ დოლარი, ლარი);
- გ) ადგილობრივი ემიტენტების მიერ გამოშვებულ კერძო და საჯარო, უზრუნველყოფილ სასესხო ფასიან ქაღალდებში (აშშ დოლარში);
- დ) რეზიდენტ იურიდიულ პირებისათვის პირდაპირ გაცემულ უზრუნველყოფილ სესხებში (აშშ დოლარი);

ე) რეზიდენტ იურიდიულ პირებში პირდაპირი ფლობის გზით კაპიტალში, მხოლოდ კაპიტალის

საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრულია შემდეგი სამიზნე დარგები:

- ა) ენერგეტიკა (მხოლოდ განახლებადი);
- ბ) სოფლის მეურნეობა (ექსპორტზე ორიენტირებული);
- გ) ჯანდაცვა (სამედიცინო ტურიზმის პოტენციალით);
- დ) სამშენებლო/დეველოპერული კომპანიები;
- ე) კომერციული უძრავი ქონება (მხოლოდ არსებული იჯარის კონტრაქტებით უზრუნველყოფილი).

ფონდის ყველა ინვესტიცია უზრუნველყოფილია ინვესტიციის შესაბამისი ღირებულების უძრავი ქონებით და არამატერიალური ქონებით.

ფინანსური მაჩვენებლები:

ატლანტიკა, რომ კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ ქონია მნიშვნელოვანი ფინანსური ტრანზაქციები, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია დაფუძნდა 2021 წლის ოქტომბრის ბოლოს. 2021 წელს განხორციელდა მხოლოდ ორი ტრანზაქცია: 1) საწესდებო კაპიტალში 2,200 ლარის შეტანა და 2) 2,000 ლარის ოდენობით საინვესტიციო კომპანიის მოსაკრებლის გადახდით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ფორსაით კაპიტალი“-ს 100%-იანი წილის ერთპიროვნული მფლობელი იყო შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“-ი.

2022 წლის იანვარში, კომპანიის განთავსებული კაპიტალი განისაზღვრა ასი ათასი ლარით, საიდანაც მოხდა ოცდახუთი ათასი ლარის განაღდებულ კაპიტალად საბანკო ანგარიშის მეშვეობით შეტანა. სს „ფორსაით კაპიტალმა“ ინვესტიციების მოზიდვა დაიწყო 2022 წლის ივნისიდან.

2022 წლის 2 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ფორსაით კაპიტალი“-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციები წარმოდგენილია მხოლოდ სასესხო ხეშეკრულებებით, აღწერილი მომენტისთვის კომპანია არ ფლობს სხვა იურიდიული პირის აქციებს ან სხვა ტიპის წილობრივ აქტივებს.

რისკები:

რისკის აღება საინვესტიციო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. კომპანია იყენებს რისკის მართვის ფუნქციას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ერთეულების მფლობელთათვის მაქსიმალური ღირებულების შექმნა ადეკვატური რისკის მართვის პრაქტიკის დამკვიდრებისა და საოპერაციო და საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესებში წარმატებული შედეგების აღბათობის გაზრდის გზით. აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო აცნობიერებს, რომ შეუძლებელია რისკის სრულად აღმოფხვრა, თუმცა ის მკაფიოდ უნდა იყოს გაცნობიერებული და შეფასებული იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას მოსალოდნელ ამონაგებსა და რისკს შორის მიზნობრივი ბალანსი.

რისკი იმგვარად უნდა იმართოს, რომ:

ა. გათვალისწინებული იყოს მთლიანი საინვესტიციო რისკების მართვის ერთიანი პროცესი, საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედი ყველა ოპერაციული რისკების ჩათვლით;

ბ. განხორციელდეს საინვესტიციო პორტფელთან და აქტივების თითოეულ კლასთან დაკავშირებული საინვესტიციო რისკების იდენტიფიცირება, გაზომვა და კომუნიკაცია;

გ. რისკების მართვით უზრუნველყოფილ იქნეს ინვესტიციაზე ამონაგებისა და აღებული რისკების მონიტორინგი, იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად ადეკვატურად არის კომპენსირებული გაწეული რისკები; და

დ. უზრუნველყოფილი იყოს საინვესტიციო რისკის გამოთვლის სისტემებისა და ფუნქციების სათანადო ორგანიზაციული დამოუკიდებლობა საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების ფუნქციებისგან.

ფონდი იყენებს RCSA მეთოდოლოგიას და თითოეულ ინვესტიციაზე, ისევე როგორც მთელ საინვესტიციო პორტფელზე, აფასებს შემდეგ რისკებს:

ა) საბაზრო;

ბ) საკრედიტო;

გ) ლიკვიდობის;

დ) საოპერაციო;

ე) რეგულირების;

ვ) კანონთან/რეგულაციებთან შესაბამისობის;

ზ) რეპუტაციული;

თ) გადადების/გავრცელების;

ი) სტრატეგიული.

საკრედიტო რისკების გამოვლენისთვის და ეფექტიანი მართვისთვის კომპანია სესხის გაცემის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდგომ ეტაპზე

ახორციელებს პორტფელის ყოველკვარატლურ მონიტორინგს, განხორციელებულმა მონიტორინგმა პასუხი უნდა გასცეს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა გაუარესდა თუ არა მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, ფონდის მიერ ინვესტირების შემგომ ეტაპზე გაიზარდა თუ არა მსესხებლის ვალდებულებები, ფუნქციური, გეოგრაფიული ან/და ეკონომიკური ცვთვის ხარჯზე, ხომ არ მოხდა უძრავი ქონების ღირებულების შემცირება და ამის შედეგად რამდენად გაუარესდა სესხის LTV კოეფიციენტი (სესხის თანხის შეფარდება უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასთან). კომპანია აანალიზებს განხორციელებული მონიტორინგის პროცესის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და შესაბამისად ადგენს რამდენად გაიზარდა ან შემცირდა საკრედიტო რისკი. საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად, ფონდი ხელმძღვანელობს საკრედიტო დანაკარგების რეზერვის გაუფასურების მატრიცით.

სავალუტო რისკი

2021 წელს საქართველოში ეროვნული ვალუტის საშუალო კურსმა აშშ დოლართან მიმართებაში 3.2209 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 3.6%-ით არის გაზრდილი. ეროვნული ვალუტის საშუალო კურსის ზრდა აშშ დოლართან მიმართებაში ძირითადად განპირობებული იყო ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ვალუტის კურსის პერიოდული რყევებით. თუმცა მიუხედავად აღნიშნული გაუარესებისა, 2021 წლის მე-4 კვარტალი 3.0976-იანი მაჩვენებლით დაიხურა, რაც 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით ეროვნული ვალუტის 5.5%-იან გამყარებას ნიშნავს. 2022 წლის 9 თვის მონაცემები ლარს აქვს გამყარების ტრენდი დოლართან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ სს „ფორსაით კაპიტალი“ არ ახდენს სავალუტო რისკები აღებას, რადგანც ახდენს ინვესტიციების მოზიდვასა და განთავსებას მხოლოდ აშშ დოლარში.

ლიკვიდობის რისკი

დახურული ფონდის განსაზღვრებიდან გამომდინარე, ფონდს ვადის ამოწურვამდე არ გააჩნია ერთეულების გამოსყიდვის ვალდებულება, რაც ახდენს ლიკვიდობის რისკის ელიმინირებას.

კონკურენცია

2022 წლის მესამე კვარტალის ბოლოს მდგომარეობით, საქართველოს საინვესტიციო სექტორი წარმოდგენლია 4 საინვესტიციო კომპანიით, რაც მიუთითებს ბაზრის დაბალ კონკურენტულობაზე. სს „ფორსაით კაპიტალი“ იმედოვნებს, რომ უახლოვებს მომავალში გაიზრდება, როგორც ფონდების, ასევე მათ მიერ ინვესტირებული თანხების რაოდენობა და მოცულობები, რაც ცალსახად პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკის ზრდის ტემპის დაჩქარებაზე.

პოლიტიკური არასტაბილურობის რისკი

2022 წლის დასაწყისში რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე განხორციელებულმა ინტერვენციამ და დაწყებულმა ომმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვია როგორც რეგიონში, ასევე სრულიად ცივილიზებულ სამყაროში. პოლიტიკური დაძაბულობა და ვითარების ესკალაციის მაღალი ალბათობა რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს უმთავრესი გამომწვევი ფაქტორია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ფინანსური სექტორის მდგრად განვითარებაზე.

ინფორმაცია კომპანიის განვითარებს გეგმებთან დაკავშირებით

შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“-ის მიერ მართული სს „ფორსაით კაპიტალი“ ახორციელებს და მომავალშიც განაგრძობს ინვესტიციების მოზიდვას მათი შემდგომი განთავსების მიზნით, რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკურ და იურიდიული პირებისგან. პორთფელის ჯეროვნად მართვისა და მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, კომპანიის საინვესტიციო გუნდი, მუდმივ რეჟიმში განიხილავს ახალ საინვესტიციო შესაძლებლობებს აქტივების კლასებისა და მათი ალოკაციის ეფექტური გადანაწილების მიზნით.

ანგარიშგების მომზადების თარიღი: 02/12/2022

სს „ფორსაით კაპიტალის“ დირექტორი

შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“

წარმომადგენელი: გრიგორი მორჩილაძე

